

ქართული ხელოვნების ისტორია

ლექციების კურსი

ლიტერატურა:

შ. ამირანაშვილი; ქართული ხელოვნების ისტორია, თბ:1961;

ი.ციციშვილი; ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ; 1955;

ი.ციციშვილი; ქართული ხელოვნების ისტორია, თბ; 1995.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი თეა ურუშაძე

ლექცია 1

ქართული ხელოვნების შესწავლის ისტორია

ქართული ხელოვნების ისტორია დასაყრდენს იღებს ანტიკურიდან, მაგრამ მე-20 საუკუნის 20 -იანი წლებიდან იღებს სათავეს, როგორც მეცნიერება. ქსენოფონტე და სხვა ბერძენი მოაზროვნეები თავის ნაშრომებში საუბრობენ ქართულ არქიტექტურაზე. ვიტრივიუსმა პირველ საუკუნეში იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, სადაც ნახა საცხოვრებელი სახლები და აღწერა ისინი, რასაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მარკო პოლო თავის ნაშრომებში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ქართულ არქიტექტურას. XVI – XVII სს-ში ევროპიდან ჩამოდიან კათოლიკე მისიონერები და თავიანთ საქმიანობასთან ერთად ხატავენ ქართულ ძეგლებს, მეფეთა პორტრეტებს, ხალხს, აღწერენ ნაგებობებს, ყოფას და ა.შ. ეს ყველაფერი ისტორიის საინტერესო მონაცემებია. შემდეგი ეტაპი არის XIX საუკუნის 30-იანი წლები. დიბუა დე მონპერემ იმოგზაურა ჩრდილოეთ კავკასიაში, შენდეგ ჩავიდა აფხაზეთში, მოიარა მთელი საქართველო, რის შემდეგ ჩავიდა სომხეთში. მოგზაურობის შემდეგ დაწერა 6 ტომი, აქედან 4 ტომი მიუძღვნა ქართულ არქიტექტურას. აღსანიშნავია, რომ დიბუა დე მონპერემ ქართული ხელოვნების არსი ბოლომდე ვერ გაიგო, რამაც შემდგომში ცუდად იმოქმედა მისი შესწავლის განვითარებაზე. დიბუამ თავის ნაშრომებში სახელი გაუტეხა ქართულ ხელოვნებას, ის წერდა რომ დასავლეთ საქართველო ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო და აქ ახალი არაფერი შექმნილა. პროკოფი კესარიელი წერს, რომ იმპერატორმა აუშენა ეკლესია დასავლეთ საქართველოს. აღმოსავლეთ საქართველოში მან ნახა ატენის სიონი, სადაც არსებობს წარწერები, მაგალითად თოდოსაკმა ააშენა ეკლესია, რიფსიმე ამბობს, რომ ქართველებს სომხებმა აუშენეს ეკლესია. მრავალწლიანი მეცნიერული კვლევების შედეგად დადასტურდა რომ ეს მოსაზრებები ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. თუმცა წლების

განმავლობაში ევროპელი მეცნიერები სარგებლობდნენ დიბუას ნაშრომებით.

მარი ბროსემ დაიწყო ქართული ხელოვნების კვლევა, რომელმაც მრავალი ეკლესიის წარწერები გამოაქვეყნა. აღნიშნულმა ფაქტმა სამეცნიერო სამყაროზე დადებითად იმოქმედა. თუმცა სამწუხაროდ, ბროსე არქიტექტურულ სტილსა და თარიღებს ყურადღებას არ აქცევდა, ის მხოლოდ შიფრავდა წარწერებს და შემდეგ ფრანგული თარგმანით აქვეყნებდა.

1821 წელს გამოვიდა ნ. კონდაკოვის წიგნი, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული არქიტექტურა არავის გავლენის ქვეშ არის მოქცეული, მაგრამ ეს იყო რუსეთში, ამიტომ მას ევროპული გამოხმაურება არ მოჰყოლია.

მიუხედავად იმისა რომ დ. ბაქრაძე ისტორიკოსი იყო, მან უამრავი ნაშრომი მიუძღვნა ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევას.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ე. თაყაიშვილმა ქართული ხელოვნების ისტორიას, არქიტექტურის არქეოლოგიურ კვლევას დიდი სარგებელი მოუტანა. მან მრავალი წიგნი გამოსცა, რამაც შემდგომში მის კვლევას ხელი შეუწყო.

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ჩამოყალიბდა ხელოვნების ისტორიის კათედრა, სადაც მიზნად დაისახა, როგორც ქართული ხელოვნების შესწავლის მეთოდოლოგია, ასევე ამ მიმართულებით ახალგაზრდა კადრების მომზადება.

ნ. სტრიგოვსკიმ ერთერთმა პირველმა აღნიშნა ქართული ხელოვნების თავისებურება. ის ეძებდა ქრისტიანული ხელოვნების სათავეებს. სტრიგოვსკიმ ქართული არქიტექტურა მიაკუთვნა სომხურს, თუმცა მრავალი ქართული ძეგლი შეიტანა კატალოგში და გააცნო ევროპას.

ა. ბალტუმტრაისი - დიდი როლი შეასრულა ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევის პროცესში. მან 1929 წელს იმოგზაურა საქართველოში და გამოსცა წიგნი, სადაც ხაზგასმით აღნიშნავდა ქართული არქიტექტურის თავისებურებას და მის ქართულობას.

გ. ჩუბინაშვილმა განათლება მიიღო გერმანიაში, 1922 წელს ჩამოვიდა საქართველოში და პირველმა ჩამოაყალიბა ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლის მეთოდოლოგია და განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანა. 1941 წელს მან ჩამოაყალიბა ქართული ხელოვნების ინსტიტუტი. მან და მისმა სკოლამ წლების განმავლობაში თანდათანობით შეისწავლა ქართული ხელოვნების ყველა მიმართულება. მათი ნაშრომები ქვეყნდებოდა მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო გამოცემებში.

XX საუკუნის 70-იან წლებში ქართულ ხელოვნებამცოდნეობაში ახალი ერა დაიწყო. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ იმართებოდა მსოფლიო მნიშვნელობის სიმპოზიუმები იტალიასა და საქართველოში, სადაც მრავალი ქვეყნის მეცნიერი ლეზულობდა მოწილეობას და ასევე, ქართულ ძეგლებს ადგილზე ეცნობოდა. ქართული ხელოვნება თავისი თავისებურებით, ისტორიზმით და ა.შ. დღესაც მრავალი მეცნიერის კვლევის სფეროს წარმოადგენს.

ქართული ხელოვნება პირველყოფილ საზოგადოებაში

ქართული ხელოვნების ისტორია მრავალ საუკუნეს მოიცავს. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წინა ქრისტიანობის ხანის კულტურის ძეგლები თანდათან არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჩნდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლები ენათესავებიან სხვა კუთხეებში მოპოვებულ სიძველეებს. მრავალი გამოკვლევების შედეგად დღეისათვის სავსებით ნათელია, რომ სპილენძის ეპოქის დროს, სპილენძ - ბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე, საქართველოს ტერიტორიაზე ქართული ტომები ცხოვრობდნენ, რონლებმაც ისორიულ-კავკასიური

ტომების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს და მათი ისტორიული მხატვრული მნიშვნელობა სცილდება ძველი საქართველოს ისტორიულ საზღვრებს.

პალეოლითი

საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი შრომის ძეგლია აღმოჩენილი. ძველი პალეოლითიდან ზედა პალეოლითზე გადასვლის პროცესში ძირეული ცვლილებები იდეოლოგიურ სფეროში მოხდა. ვითარდება სახვითი ხელოვნება, ჩნდება ცხოველთა და ქალის მრავალრიცხოვანი ქანდაკებები, გრავირებული და ფერადოვანი გამოსახულებებით. ქალის ქანდაკება 1938 წელს ზემო სვანეთში იყო აღმოჩენილი. ამავე პერიოდში სახვითი ხელოვნება ვითარდება, ჩნდება გეომეტრიული ორნამენტები და ასევე, მრავალი ქანდაკება ცხოველებისა და ადამიანების გამოსახულებებით. ჩვეულებრივ ეს ქანდაკებები ძირითადად შიშველ ქალებს გამოსახავდნენ, მკვრივი ტანის, დიდ ზომის ჩამოშვებული მკერდით და დიდი ზომის მუცლით. ქალი ტანის ფორმების გადიდება აიხსნება იმით, რომ აქ გამოსახულია ფეხმძიმე ქალი, როგორც ნაყოფიერების და გამრავლების განსახიერება (ზომა - 5, 10,15 და სხვ) ფიგურები. რეალისტურია, როგორც საერთოდ პირველყოფილი საუკეთესო ნიმუშებს ახასიათებს. განსხვავებული ფიგურები იშვიათობას წარმოადგენს, სადაც ზედა პალეოლითის გამოქვაბული სადგომებია. ქრონოლოგიურად სხვადასხვა დროისა და განსხვავებული ჯგუფების თანმიმდევრობაზე საკმაოდ ნათელ სურათს გვაძლევენ. ასევე, ნათელია არსებული მემკვიდრეობითი კავშირი და მსგავსება შავი ზღვის სანაპიროსა და მღვიმეების გამოქვაბულთა გრაფიკულ გამოსახულებათა შორის და მსგავსება ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ რაიონების უძველეს გრაფიკულ ნამუშევრებთან.

მეზოლითი

მეზოლითი - გამყინვარების შემდგომი ხანიდან თანდათან ხდება ახალ საფეხურზე გადასვლა. ამ პერიოდში ოდიში, კარგად

გამოსახული მიკროლიტური იარაღებისა და გეომეტრიული ფორმების ადგილი გახდა. აღმოჩენილია ასევე, დიდი ზომის ქვის იარაღები, გათლილი გაპრიალებული ქვის ცულები და მიწის პირველი დასამუშავებელი იარაღები. საინტერესოა კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები, მორთული ტეხილი და თაღისებური ორნამენტებით.

ნეოლითი

ნეოლითი - კაცობრიობის ისტორიაში განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. ამ პერიოდში საკმაოდ იცვლება ქვის იარაღების დამზადების ტექნიკა. ტექნიკური განვითარების მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს თიხის ჭურჭლის დამზადება, რომელიც შემკული იყო ტეხილი და ტაღისებული ორნამენტებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კლაკნილი ხაზი კერამიკის დეკორში საკმაოდ იშვიათად გვხვდება. ამ პერიოდის შესასწავლად ძვირფას მასალას გვაძლევენ ზელოვნების ის ნაწარმოებები, ასევე, სხვადასხვა ხასიათის ძეგლები, რომლებიც დაკრძალვის წესებთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში საინტერესოა თეთრამიწის კერა, სადაც ნაწარმთა შორის აღმოჩენილიათიხისგან ნაძერწი ქალის ფიგურის ფრაგმენტები. მსგავსი ასევე, საგვარჯილეს და სხვა სადგომებშია მოპოვებული.

მეგალითური კულტურა

საქართველოს სხვადასხვა რაიონში აღმოჩენილია უძველესი ტიპის მეგალითური კულტურის ძეგლები (გვიანი ნეოლითი), რომელსაც ორ ჯგუფად ყოფენ: ციხე-სიმაგრეები და საცხოვრებელი ნაგებობები, რომლებიც წარმოადგენენ საკმაოდ გაშლილ ნაქალაქარს და დაკავშირებული არიან ერთმანეთთან (კომპლექსების ან ლაბირინთების სახით). ციხე-სიმაგრეები აგებულია ოთხკუთხა ფორმის გეგმით, კედლებს შორის დატანებულია მრავალი კოშკი.

ქვის ხანა

ამ პერიოდში მიმდინარეობს სამუშაო იარაღის გაუმჯობესება, რაც ხელს უწყობს საკვები მცენარეების გაშენებას, ცხოველთა მოშინაურებას. იწყება მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. საქართველოში აღმოჩენილია მრავალი ნეოლითური სადგომები. გადასვლა პატრიარქატზე.

ნეოლითური ნამოსახლარები ხასიათდება თიხით შელესილი წნული ნაგებობებით, რომელთა შიგნით გვაროვნული ჯგუფი ცხოვრობდა. გეგმაში ოთხკუთხა და მრგვალი ნაგებობები, გადახურვა საყრდენი ბოძების საშუალებით ხდებოდა. ვინაიდან ბევრი კვალია აღმოჩენილი, როგორც ჩანს ამ პერიოდში ყალიბდება ძირითადი არქიტექტურული სქემები, მაგებობათა ნაწილების ფუნქციათა მკვეთრი გრადაციით. ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ხდება საცხოვრებლის გამოყოფა ხდება გამოქვაბულიდან და იქმნება დამოუკიდებელი ნაგებობა გადახურვით. მრავალი ნიმუშის საფუძველზე ასევე ვლინდება ურთიერთკავშირი წინა აზიის სამიწათმოქმედო კულტურებთან, ე.ი. საქართველოს ტერიტორია აქტიურად მონაწილეობდა უძველესი სამყაროს განვითარების პროცესში.

ბრინჯაოს ხანა

ბრინჯაოს ხანა და ქართული ხელოვნება

საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ტომების კულტურა ბრინჯაოს ხანაში ინტენსიურად ვითარდებოდა, რომელიც ენეოლითის კულტურაზე ყალიბდებოდა. ძვ.წ. V – IV ათასწლეულის ათეული სხვადასხვა სახის ნასოფლარი გამოვლინდა. შულავერი და იმირ-გორა მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირზე წარმოადგენენ ხელოვნურ ბორცვებს, სადაც ცხოვრების ხანგრძლივობის შედეგად საბინადრო იყო შექმნილი. იმირის გორაზე, შულავერის გორისან განსხვავებით საცხოვრებელი კომპლექსების დაგეგმარება უფრო

მკვეთრია, ისინი დაკავშირებულია ერთმანეთთან გარკვეული პრინციპით. ადრეული ბრინჯაოს ნასოფლარები აზერბაიჯანის, სომხეთის, აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის, წინა აზიის და ა.შ. ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ძეგლები წარმოადგენენ ასევე, წრიული და ოვალური ფორმის გუმბათოვან შენობებს, მსგავსი ნაპოვნია ასევე სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც შედიოდა წინა კულტურის არეალში.

ქვემო ქართლის ენეოლითურ დასახლებათა გაზრდის დროს თიხის ჭურჭლის გარდა აღმოჩენილია თიხის მცირე ზომის ანტროპომორფული ქანდაკებები - ქალის მკვეთრად ხაზგასმული მდედრობითი ნიშნებით. ყველა ფიგურა მჯდომარე პოზაშია, იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთი ფეხმოხრილი და მუხლაწეულია, მეორე ნაწილად ფეხგაჭიმული. ქანდაკებები რეალისტურია, თუმცა თავი შედარებით პატარაა და ტანთან ოდნავ გამოყოფილი. ანტროპომორფული ქალის ქანდაკებები გავრცელებულია მთელ ძველ სამყაროში. არსებობს მეცნიერული აზრი, რომ ეს ქანდაკებები უკავშირდებიან ნაყოფიერების კულტს და განასახიერებენ ბუნების მფარველ ქალს „დიდ დედას“.

ადრეული ბრინჯაოს ხანის ძვ.წ III ათასწლეულში (მტკვარ-არაქსის კულტურა) ნასოფლარები მრავლად არის შიდა ქართლის ტერიტორიაზე. კარგად არის შესწავლილი ისეთი ნასოფლარები, როგორც არის ქვაცხელები და ხიზაანთ გორა. სახლები აგებულია თიხისა და ალსიზისგან, წნულისგან შედგენილი კარგასით. გეგმაში თითქმის კვადრატულია, მომრგვალებული კუთხეებით. ფასადის მთელ სიგრძეზე ოთხს ეკვრის დერეფანი, ცენტრში მრგვალი კერაა, შიდა შვერილები ამ პერიოდის სახლებს ჰქონდათ თავისუფალ მდგარ სვეტებზე და თავზე დაყრდნობილი ბრტყელი გადახურვა. სწორედ ბრტყელი გადახურვის ნაგებობები შესაძლებელია წარმოადგენდნენ შემდგომ პერიოდში საქართველოში გავრცელებულ „დარბაზის“ ტიპის სახლების პროტოტიპს.

მკ.წ III ათასწლეულის მეორე ნახევარში -შუა ბრინჯაოს ხანაში იქმნება ახალი „თრიალეთის კულტურა“. დაიწყო მთების, ტერასების ათვისება, ასევე, დიდ სამარხო ყორღანები ვრცელდება, დამარხვის რთული რიტუალით და მდიდარი ინვენტარით. ბედენისა და სამგორის ყორღანებში აღმოჩნდა ხის ძეღური შენობები.ყორღანების სამარხო ინვენტარი მიგვითითებს კულტურის საერთო დონის აღზევებაზე, ვლინდება საზოგადოების დანაწევრების პროცესი და თემობრივი არისტოკრატის გაჩენა.

ყურადღებას იმსახურებენ კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარები, არხებით, შემოსაზღვრული ბორცვები, რომლებიც ხასიათდებიან წრიული და მრავალწახნაგა გეგმის მქონე ხის სახლებით.

მკ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდს მიეკუთვნება ნასოფლარი ხოვლეგორი, სადაც გამოვლენილია ოთხკუთხა ფორმის კარიბჭიანი საცხოვრებელი სახლები. გვიან ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანას მიეკუთვნება დილოში გაშლილი ნამოსახლარი. სახლს ახლავს პურის საცხობი და ბაქნები სამსხვერპლოებითა და კერებით.

საქართველოს ტერიტორიაზე ასევე გვხვდება მეგალითური ნაგებობების თითქმის ყველა სახეობა. სამარხის ინვენტარის მიხედვით დოლმენების მშენებლობა მკ. წ.III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულის დასაწყისში ხორციელდება.

ციკლოპური ციხეები საქართველოში მრავლად არის შემორჩენილი. ციკლოპური ციხეების სამშენებლო მასალა და ტექნიკაც განსაკუთრებით კონსერვატულია და ვრცელდება ბრინჯაოს ხანიდან ფეოდალურ ეპოქამდე. ციკლოპური ციხეები უნდა შექმნილიყო საზოგადოების ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად. ბრინჯაოს ხანაში უპირველეს მნიშვნელობას ეკონომიკაში მეცხოველეობა იძენს, ხდება ქონებრივი დანაწევრება. ცალკეულ ტომებს შორის იწყება შეტაკებები და თავდასხმები საქონლისა და სამოვრებისთვის. ასეთ ვითარებაში აუცილებელი ხდება სოფლების მძლავრი კედლით დაცვა. ეს პროცესი უნდა დაწყებულიყო მკ.წ.II ათასწლეულში. ციკლოპური ციხეები ამჟამად წარუშლელ

შთაბეჭდილებას ტოვებენ. საქართველოს ტერიტორიაზე ციკლოპური ციხეების თავისებურება რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს (აშვალი, ბერთაშენი), გოფირებული, ტალღისებური კედლებით და მრგვალი კოშკებით, კონტროფორსებით (ნორდევანი, გუმბათი, ხანა აგებულია ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს). პირველყოფილი საზოგადოების ეპოქაში ჩაისახა წრიული და სწორკუთხოვანი გეგმის სივრცითი კონცეფციები. მენჭირებში ჩანს ადამიანის სურვილი შექმნას რაღაც მხატვრული სახე ვერტიკალურად დაყენებული ქვასვეტი თავისი მეტყველი ფორმით შეადგენს არქიტექტურის ერთერთ საფუძველს და ადამიანის მდგომარეობას. დოლმენებში პირველად იფარგლება შიდა სივრცე და მკვეთრად ნაგებობის გარე მოცულობა ვლინდება.

საქართველოს ტერიტორიაზე გამომუშავებული ძირითადი არქიტექტურის ტიპები, კონსტრუქციული ხერხები და სამშენებლო ტექნიკა ფართოდ იყო ათვისებული შემდგომი პერიოდების ქართული ხუროთმოძღვრების მიერ.

თრიალეთის ყორღანების დარბაზთა კედლების გასწვრივ აღმოჩნდა თიხის მრავალი ჭურჭელი. სამი ფერის: შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი ნაცრისფერი და წითლად შეღებილი. პირველი ორი ჯგუფისთვის დამახასიათებელია ამოკაწრვით და ჩაჩხვლევით დატანებული ორნამენტი, ხოლო წითელ ქილებსა და დერგებზე წითელ ანგობზე შავი საღებავით გამოხატულია ტალღისებური ორნამენტი. მეორე ღია ფერის ანგობიან ქილაზე ორ სარტყელს შორის აღბეჭდილია დაკლაკნილი მდინარე, ტალღისებური ხშირი ხაზებით. ჭურჭლის მკაცრი ფორმები, მსუბუქი ორნამენტის სიზუსტე და ადგილის მარჯვე შერჩევა, მოხატულობის კომპონენტების წონასწორობა და ქოთანის ფორმასთან ორგანული კავშირი ამ პერიოდის მეთუნეთა ოსტატობას და დახვეწილ გემოვნებას ადასტურებს. სამარხებში აღმოჩენილია ტორევიტიკის მშვენიერი ნიმუშები. ვეცხლის თასი, ვერცხლის პატარა სარწყაული და ოქროს ფიალა. ვერცხლის თასი დგას მრგვალ ფეხებზე, ზემოთ

გამოსახულია ლოტოსის ყვავილი. თასის ტანი ორი სარტყელისგან შედგება, ქვედაზე გამოსახულია ერთმანეთის ერთმანეთის უკან მიმავალი ფურირემები და ხარირემები. ზედა ზოლში გამოსახულია 23 ანთროპომორფული არსებათა პროცესია. ისინი მიემართებიან ტახტზე მჯდომარე ღვთაებისკენ, რომელსაც ხელში სასმისი უკავია, მონაწილეთაც ხელში სასმისები უპყრიათ, ჩაცმულობაში მგლის ძაღლის, მელის ატრიბუტები შეიჩნევა. როგორც ჩანს აქ ასახულია ნადირობასთან და ცხოველურ ტოტემთან დაკავშირებული რელიგიური წესჩვეულებანი. თასზე გამოსახულია სიცოცხლისა და განაწილების ცერემონია, დაკავშირებული ნაყოფიერების ღვთაების კულტთან. როგორც თემა, ასევე, ფრიზზე ნაკვეთების წყობის სისტემა წინა აზიის ხელოვნების ტრადიციებთან ახლოს დგას. ვერცხლის სარწყაული ძლიერად არის დაზიანებული, მთელი ზედაპირი ეთმოზა ტყე და მის ბინადარ ცხოველებს: ირმებს, არწივებს, თხებს, ზოგს მკერდში ისარი აქვს გარჭობილი, გამოსახურლია ნადირობის სცენა და თითოეული ცხოველი დამახასიათებელი ნიშნებით არის გამოსახული.

ოქროს ფიალა წარმოადგენს ძირისკენ ოდნავ შევიწროებულ და ქუსლზე შემდგარ ორკედლიან სასმისს, შემკულია გრეხილებითა და გავარსით მოოჭვილი ვარდისფერი სარდიონისა და ფირუზის ქვებით. თრიალეთის ეს თასი შემკულობის მოხდენილობით და დამზადების მაღალი ტექნიკით ტორევტიკის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებს მიეკუთვნება.

ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება აგრეთვე კახეთში, ალაზნის ველზე გათხრილი გორა, სამარხში აღმოჩენილი ოქროსგან დამზადებული ლომის მინიატურული ქანდაკება სტილიზებული ორნამენტით დამუშავებული ფაფრით. ამ პერიოდის საგნებიდან მორთულობის ელემენტებით წარმოგვიდგება იარაღები. კოლხურ კულტურაში გავრცელებულ იარაღს ბრინჯაოს ცული და სატევარი წარმოადგენს. კოლხურ ცულებს ახლავს გეომეტრიული და ცხოველური მოტივებისგან შემდგარი ორნამენტი. ხშირია ხვიერი,

ვითარცა გველის სიმბოლური გამოსახულებანი. ცხოველურ მოტივთა შორის გავრცელებულია ზოომორფული გამოსახულება, რომლის საფუძველი ძაღლია, მისთვის დამახასიათებელი დაღებულ ხახა, აცქვეტილი ყურები, წვრილი და მაღალი ფეხები და სპირალური ხვით და ისრის წვერისებურად დაბოლოებული კუდი. სამარხებში გარდა იარაღისა გვხვდება დასადგმელად განკუთვნილი ცხოველების მცირე ზომის ქანდაკებები: დათვის, მგლის, ირმის, ძაღლის ცხენის. ასევე, გვხვდება ადამიანის ქანდაკებებიც. გამოსახულებები სავსებით რეალისტურია და არ გადადიან ნატურალიზმში, თუმცა სტილიზაციის ნიშნებიც შეინიშნება. გვიანი ბრინჯაოს ხანის აღმოსავლეთ საქართველოს იარაღი მრავალფეროვნებით წარმოგვიდგება. სატევრები და მახვილები, რომლებიც შემკულია სპირალური, დაკბილული სახეებით. წვერკვეთილი მახვილების პირზეხსირქად ვხვდებით პირდაპირ მდგომ ცხოველთა (ირმები, ძაღლები) ამოკაწრულ გამოსახულებებს. აქ გავრცელებულია ჭურჭელი, ყველაზე უკეთ წარმოგვიდგება მცხეთა-სამთავისის სამარხებში. აქ გავრცელებულია ჭურჭელი - შავპრიალა და რუხ ზედაპირიანი, რომელიც უხვად შემკულია რელიეფური, ამოკაწრული სახეებით. ღირებულია კერამიკული ჭურჭლის დახვეწილი ფორმები, მათი გაპრიალებული ზედაპირი, საგანდებოდ ინსტრუმენტებით გამოყვანილი გეომეტრიული სახეები.

ძვ. წ. IX-VII საუკუნეში ამიერკავკასიაში რკინის ფართო ათვისების ხანაა. რკინა გაბატონდა ყველა დარგში, ხოლო ბრინჯაო გამოიყენება ძირითადად სამკაულებისა და საკულტო დანიშნულების დასამზადებლად. ამ დროს ჩნდება ბრინჯაოსგან დამზადებული ისეთი ნივთები, როგორც არის გრავირებული სარტყელები. სარტყელი კეთდებოდა 15 მმ. სისქის ფურცლისგან, სიგრძით 80-85 სმ. ხოლო სიგანით 16 -23 სმ. სარტყელის ზედაპირი მთლიანად დაფარულია სხვადასხვა გამოსახულებებით. არის გეომეტრიული სხეულები, სპირალური, ცხოველთა გამოსახულებანი, ნადირობის სცენები, ღვთაების თაყვანისცემის რიტუალური სცენები. ითვლება, რომ სარტყელს ჰქონდა არამარტო ჯავშანის ფუნქცია, არამედ

საკულტო მნიშვნელობაც. სარტყელების გამოსახულებანი მიეკუთვნება ე.წ. „ცხოველურ სტილს“. კომპოზიცია დეკორატიულია, ფიგურები სტილიზებულია, ფორმის მოდელირება სარტყელზე პირობითია, ხაზოვანი და გრაფიკული, თვით ნახატი ძალიან ბპლასტიკურია. ნაკვეთების კონტურების შიგნით გრავირებით დასმულია ჭრილები ან ხაზები. ამ ხერხის წყალობით სილუეტი უფრო მკვეთრად გამოიყოფა გლუვ ფონზე და ნაკვეთებს მეტყველებას და ხატოვნებას მატებს. ბრინჯაოს სარტყელები ხეთურ სამყაროში სათანადო ცნობილ გამოსახულებებს ენათესავენ.

თრიალეთის არქეოლოგიური მონაპოვარიც წინა აზიის და კრეტა-მიკენის დაწინაურებულ ცივილიზაციათა კერპებს ეხმაურება.

თრიალეთის კულტურა თავისთავად წარმოადგენ მოვლენას, განვითარებულს ადგილობრივი ენეოლითური და ადრებრინჯაოს კულტურების ნიადაგზე.